ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

მაგისტრატურის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N13.

თარიღი: 17.10.2023 წ.

დადგენილება N37›.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N26.

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) მაგისტრატურისა და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს, აგრეთვე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. მაგისტრატურის მიზნები

2.1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, სასწავლო პროგრამის/პროგრამების ერთობლიობა, რომელიც შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს;

2.2. მაგისტრატურა მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას და ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;

2.3. მაგისტრატურის მიზანია დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელი თეორიული საფუძვლების შექმნა და ზოგადი უნარ - ჩვევების გამომუშავება.

მუხლი 3. მაგისტრატურაში მიღება

3.1. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

3.2. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება - ინსტიტუციის მიერ განსაზღვრული გამოცდით (შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა) გამოვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (www.freeacademy.edu.ge);

3.3. ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, კერძოდ: FCE; IELTS; TOEFL. ასევე კანდიდატი,

ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

3.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ თანახმად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დადგენილი წესების დაცვით;

3.5. მაგისტრანტობის კანდიდატებს/სტუდენტებს უფლება აქვთ ისწავლონ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224 ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი“ თანახმად.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომი

4.1. სამაგისტრო ნაშრომი საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტია;

4.2. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენით და დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია);

4.3. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, ნაშრომის გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს;

4.4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს კვლევის დამოუკიდებელად განხორცილების, მიღწეული სწავლის შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად კომუნიკაციის უნარი;

4.5. სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობისათვის აქტუალურ სამეცნიერო მიმართულებას;

4.6. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება წინამდებარე დებულებით დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით;

4.7. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და თემას მაგისტრანტი ირჩევს სწავლების მეოთხე სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციის ვადებში;

4.8. სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით;

4.9. სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულ პირობებს აკმაყოფილებენ და სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე დააგროვებენ შესაბამის კრედიტებს ყველა სასწავლო კურსში;

4.10. სამაგისტრო ნაშრომის დაცვას მაგისტრანტი ახდენს **უნივერსიტეტის** რექტორის ბრძანებით შექმნილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა

5.1. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა მტკიცდება შესაბამისი სკოლის საბჭოზე;

5.2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და თემას მაგისტრანტი ირჩევს სწავლების მეოთხე სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციის ვადებში.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

6.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მუშაობას, ეხმარება მას სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსისა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, წყაროების მოძიება/შერჩევაში, საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბებაში, საკვლევი შეკითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირებაში, აძლევს ზოგად მითითებებს დარგის აქტუალური გამოწვევებისა და შესაბამისი მიმართულებით კვლევის განხორციელების თაობაზე;

6.2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობაა კვლევითი კომპონენტის შესასრულებლად ხელმძღვანელობა გაუწიოსა და მისცეს მიმართულება სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით განსახორციელებლად;

6.3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები, რეკომენდაციები, მისცეს რჩევები და დაეხმაროს მაგისტრანტს კვლევის სწორად წარმართვაში, გაეცნოს პროსპექტუსს და დაადასტუროს, რომ მაგისტრანტს სწორი გეგმა აქვს შემუშავებული სამაგისტრო თემაზე მუშაობის გასაგრძელებლად. ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელმა უნდა მოამზადოს დასკვნა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- მაგისტრანტის სახელი, გვარი;
- ნაშრომის სათაური;
- ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა;

- რეკომენდაცია ნაშრომის კომისიის წინაშე წარსადგენად.

6.4. სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს ინსტიტუციის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი;

6.5. ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად მაქსიმუმ 5 (ხუთი) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

6.6. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე მუშაობის პროცესში და სათანადო არგუმენტაციით მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას დროის ფაქტორი, რათა მაგისტრანტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა შეძლონ დროულად რეაგირების მოხდენა.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი

7.1. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირების მიზანია მისი კვლევითი ღირებულების ობიექტური შეფასება შესაბამისი ან მომიჯნავე დარგის წარმომადგენელი პირის მიერ;

7.2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს:

- პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;
- მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დოქტორის ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება;
- მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დოქტორის ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 5 წლისა).

7.3. შესაბამისი სკოლა განსაზღვრავს რეცენზენტს და ატყობინებს სტუდენტს რეცენზენტის ვინაობას;

7.4. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღით ადრე შესაბამისი სკოლას უგზავნის წერილობით რეცენზიას სამაგისტრო ნაშრომის შეფასებით.

მუხლი 8. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

8.1. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს ერთობლივად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში;

8.2. პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი თემის აქტუალობა, შერჩეული თემის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, გამოყენებული რესურსები (ლიტერატურა, სტატისტიკა და სხვა);

8.3. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი უნდა მოიცავდეს:

- საკვლევი თემის აქტუალობა;
- კვლევის მეთოდები;
- პრაქტიკული მნიშვნელობა და/ან სამეცნიერო სიახლე;
- საკვლევი ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები;
- სავარაუდო დასკვნები;
- ბიბლიოგრაფიის საწყისი ჩამონათვალი;
- პროსპექტუსის დიზაინი;
- კალენდარული გეგმის/დროის რაციონალურად გამოყენება;
- ძირითადი საკვლევი საკითხების განსაზღვრა;
- კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

8.4. პროსპექტუსი უნდა შედგებოდეს 5 - 10 გვერდამდე;

8.5. პროსპექტუსის დიზაინი:

სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე, ფონტი - Sylfaen, ზომა 12, მინდვრები (ყველა მხრიდან) 2 სმ. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომა - 10, სტრიქონებს შორის დაშორება 1.5 სმ. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე და პროსპექტუსის ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით ქვედა მარჯვენა მხარეს;

8.6. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის წარდგენა სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთან უნდა განხორციელდეს თემის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, სადაც მაგისტრანტი წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ პროექტს/პროსპექტუსს. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი აფასებს წარდგენილ პროექტს/პროსპექტუსს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. საბოლოო ვერსია უბრუნდება მაგისტრს შემდგომი მუშაობისათვის;

8.7. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის უარყოფითი შეფასების მიღების და/ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მაგისტრანტს ეძლევა სამაგისტრო კვლევის პროექტზე დამატებითი მუშაობის უფლება 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადით;

8.8. სამაგისტრო პროექტის/პროსპექტუსის დამატებითი ვადის გამოუყენებლობის, გამოუცხადებლობის ან გადამუშავებული ვერსიის ხელმეორედ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს უფლებას სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას მიმდინარე სემესტრში.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

9.1. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი წარედგინება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს დასკვნის წარმოდგენის მიზნით სწავლების მეოთხე სემესტრის არაუგვიანეს მე - 15 კვირისა;

9.2. სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი შეასრულოს შემდეგი დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით:

- საკვლევი თემის აქტუალობა;
- კვლევის მიზანი;
- საკვლევი ამოცანები;
- კვლევის საგანი;
- კვლევის ობიექტი;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- თეორიული და ემპირიული კვლევის ჩატარება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- გამოყენებული ლიტერატურა.

9.3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომს რეცენზენტისთვის წარდგენამდე ამოწმებს პლაგიატზე;

9.4. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება ელექტრონული პროგრამით ,,Turnitin";

9.5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მაგისტრანტს ერთხელ დაუბრუნოს ნაშრომი და გასცეს რეკომენდაციები;

9.6. სამაგისტრო ნაშრომში დასაშვებია მსგავსება 10% - მდე;

9.7. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება და მაგისტრანტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავებისა და წარდგენის უფლება;

9.8. სამაგისტრო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და ნაშრომი გადაეცემა რეცენზენტს რეცენზირებისათვის;

9.9. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განისაზღვრება ხელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნების საფუძველზე;

9.10. ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ყველა წევრის შეფასების შეჯამების საფუძველზე;

9.11. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია აფასებს ნაშრომს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით);

9.12. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით, რომელსაც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები განსაზღვრავენ ინდივიდუალურად (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე);

9.13. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ - ერთი დადებითი შეფასებით;

9.14. მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით;

9.15. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასების ამ სისტემაში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასების ამ სისტემაში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება (შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში);

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

9.16. სამაგისტრო ნაშრომის დადებითი შეფასება:

ა. სამაგისტრო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც დადასტურებული იქნება მის სახელზე მაგისტრის დიპლომის გაცემით;

ბ. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა ინსტიტუციის მიერ. დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება ხდება ინსტიტუციაში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად. მაგისტრის დიპლომს ხელს აწერს შესაბამისი სკოლის დეკანი და რექტორი.

9.17. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძვლებია:

ა. საჯარო დაცვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

ბ. საჯარო დაცვაზე გამოცხადების შემდგომ უარის თქმა მის დაცვაზე;

გ. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის/პლაგიატის გამოვლენა;

დ. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ბულინგით, მოტყუებით, თაღლითობით და/ან სტუდენტისათვის სხვა დაუშვებელი ხერხებით.

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

10.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მრავალკომპონენტიანია. შეფასება ექვემდებარება უშუალოდ ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ შუალედურ შეფასებასა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასებას კომისიის მიერ;

10.2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

11.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე;

11.2. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები (არანაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრი). კომისიის წევრი შეიძლება იყოს მოწვეული სპეციალისტი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

11.3. კომისია უფლებამოსილია, თუ შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ესწრება კომისიის შემადგენლობის 2/3;

11.4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი;

11.5. სამაგისტრო თემის დაცვა ხდება პრეზენტაციის სახით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 - 20 წუთს, 5 - 10 წუთი ეთმობა შეკითხვებს კომისიის წევრების მხრიდან. (თემის პრეზენტაცია უნდა გაკეთდეს Power Point - ის პროგრამის დახმარებით);

11.6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არის საჯარო. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას უნდა ესწრებოდეს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

11.7. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

11.8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტს შესაბამის კომპონენტებში აფასებს კომისიის თითოეული წევრი დაცვის დასრულებისთანავე, დაცვაზე მიღებული შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით;

11.9. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება ეცნობება მაგისტრანტს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

მუხლი 12. მაგისტრანტის უფლებები და ვალდებულებები

12.1. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი უფლებამოსილია შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი დამამთავრებელ სემესტრში;

12.2. სტუდენტს უფლება აქვს გადაიტანოს სადიპლომო ნაშრომის დაცვის თარიღი საპატიო მიზეზის (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც სტუდენტისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელს ხდის შესაბამისი მოთხოვნების შესრულებას) არსებობის შემთხვევაში ერთჯერადად, ერთი კვირით, რისთვისაც მან წერილობითი ფორმით უნდა მიმართოს შესაბამის სკოლას;

12.3. გადავადების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს სკოლა და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ეტაპის წარდგენის ვადის გადავადების/არ გადავადების შესახებ;

12.4. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისწავლოს ინდივიდუალური პროგრამით. მას აქვს უფლება, ამ მიზნით მიმართოს შესაბამის სკოლას და დაუსაბუთოს მის მიერ არჩეული სქემის მართებულობა და ადეკვატურობა. ინდივიდუალური პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

12.5. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი დაცვის კომისისს წინაშე;

12.6. სტუდენტი, რომელიც აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში არ აირჩევს სამაგისტრო ნაშრომს, კარგავს მიმდინარე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას;

12.7. არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვებისა და შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

მუხლი 13. აპელაცია

13.1. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უფლებამოსილია შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით;

13.2. სტუდენტი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას;

13.3. შეფასების გასაჩივრების შესახებ სტუდენტის დასაბუთებული განცხადება წარედგინება სკოლის საბჭოს;

13.4. რექტორის შესაბამისი ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტის პირველად შეფასებაში;

13.5. სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვისას სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები;

13.6. სააპელაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის ხელახალი დაცვის დანიშვნის ან უარის თქმის შესახებ;

13.7. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს მომდევნო დღეს.

მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების/დაკაბადონების წესი

14.1. ძირითადი მოთხოვნები:

- სამაგისტრო **ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 ზომის მინიმუმ 60 და მაქსიმუმ 80 გვერდი;**
- ფონტი – sylfaen;
- ტექსტის შრიფტის ზომა - 12, თავების სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 16 - 14, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5 სმ. , მინდვრები (ყველა მხრიდან) 2 სმ.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- სატიტულო გვერდი (თავფურცელი)
- შინაარსი (სარჩევი);
- ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა;
- გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია);
- დანართი (ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ხელნაწერები და ა.შ.)

14.4. სატიტულო გვერდი (თავფურცელი) - ნაშრომი იწყება თავფურცლით, ე.წ. სატიტულო გვერდით, რომელზეც შემდეგი ინფორმაცია უნდა განთავსდეს: ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, ნაშრომის ტიპი (სამაგისტრო ნაშრომი); სკოლის ან პროგრამის დასახელება, სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელი არ ინომრება, მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის პარამეტრებით:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - შრიფტის ზომა 14, გამუქებული;
- სკოლის და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - შრიფტის ზომა 14, გამუქებული;
- სტუდენტის სახელი და გვარი - შრიფტის ზომა 14, გამუქებული;
- **სამაგისტრო** ნაშრომის დასახელება - შრიფტის ზომა 16, გამუქებული;
- **სამაგისტრო** ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა - შრიფტის ზომა 14 გამუქების გარეშე;
- **სამაგისტრო** ნაშრომის შესრულების ადგილი (ქალაქი) და წელი (სიტყვა „წელის“ გარეშე) - შრიფტის ზომა: 14 გამუქების გარეშე .

14.5. შინაარსი (სარჩევი) - სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა აუცილებელი ნაწილი - ანოტაცია, შესავალი, თავისა და ქვეთავის დასახელება, ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა და დანართები გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს

მარჯვენა მინდორთან. თავებისა და ქვეთავების გამოყოფისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თავი მინიმუმ ორი ქვეთავისაგან უნდა შედგებოდეს. მათი სათაურები კი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული და ზუსტად უნდა ასახავდეს კონკრეტულ თავში განხილულ შინაარსს;

14.6. ანოტაცია - ანოტაციაში აისახება **სამაგისტრო** ნაშრომის მოკლე შინაარსი. ანოტაცია სრულდება ორ ენაზე (ქართულ და ინგლისურ ენებზე). ორივე ანოტაციის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს;

14.7. შესავალი - შესავალი წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს:

- თემის აქტუალობა;
- **სამაგისტრო** ნაშრომის მიზანი და ამოცანები;
- **სამაგისტრო** ნაშრომის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები;
- **სამაგისტრო** ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

14.8. ნაშრომის ძირითადი ნაწილი - ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და ქვეთავებად. თავები და ქვეთავები ინომრება თანმიმდევრულად. თავის დასახელება იწერება 16 - იანი ზომის შრიფტით. ტექსტი შეიძლება მოიცავდეს 2 - 3 თავს, თითოეული თავი კი 2 - 3 ქვეთავს. შესავალი, ნაშრომის ყოველი ახალი თავი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავები შესაბამის ტექსტს უნდა მიებას. **სამაგისტრო** ნაშრომის ძირითადი ნაწილის დანიშნულებაა შესავალ ნაწილში დასმულ საკვლევ საკითხებზე პასუხების მოძიება თეორიული ან/და ემპირიული კვლევის საფუძველზე. ნაშრომის ძირითად ნაწილში აღიწერება კვლევის მსვლელობა: რა წყაროები იქნა გაანალიზებული, რისი ინტერპრეტაცია მოხდა, რა მონაცემები იქნა მოპოვებული და როგორ იქნა ისინი შეფასებული. ამ კომპონენტების შესასრულებლად კი აუცილებელია აკადემიური მუშაობის შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

- წყაროების მოძიება;
- არგუმენტირება;
- ციტირება, პარაფრაზირება და რეზიუმირება;
- წყაროების გამოყენება და დამოწმება.

14.9. დასკვნა - დასკვნის დანიშნულებაა ჩამოაყალიბოს პასუხი საკვლევ კითხვაზე და წარმოაჩინოს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, კერძოდ აღიწეროს, რა დადგინდა აღწერის, კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის შედეგად. დასკვნაში არ ხდება ახალი თემის წამოწევა და მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ნაშრომის ძირითად ნაწილში არ იქნა განხილული. დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს წარმოადგენდეს. დასკვნაში არ იწერება: ის მონაკვეთები, რომლებიც უკვე აღწერილია ნაშრომის შესავალ ან ძირითად ნაწილებში, თეორიული მიმოხილვა ან კონტექსტის აღწერა, ციტატა და პარაფრაზი, რადგან დასკვნაში მხოლოდ კვლევის შედეგები უნდა წარმოჩინდეს. დასკვნების აღნიშნული პრინციპით ფორმულირებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სიტყვები: გამოვლენილია, აღმოჩენილია, დასაბუთებილია, ნაჩვენებია, მოცემულია, წარმოდგენილია, გახსნილია, შემუშავებულია, შეთავაზებულია, კლასიფიცირებულია, სისტემატიზირებულია ან: შემოგვაქვს,

ვასაბუთებთ, ვუჩვენებთ, და სხვა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი უნდა დაიწყოს პირველ (მრავლობით) ან მესამე პირში (და არა შერეულად);

14.10. გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია) - გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია) ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული. ლიტერატურის მიმოხილვა ნაშრომის საერთო მოცულობის 1/3-ს არ უნდა აღემატებოდეს; ბიბლიოგრაფიის შედგენისა და გაფორმების წესი რეგულირდება დოკუმენტით „აკადემიური ნაშრომის შესრულების სახელმძღვანელო“, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული წყაროების მითითების წესი (ჩიკაგოს ან APA სტილის შესაბამისად, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ხელმძღვანელთან შეთანხმებით);

14.11. დანართი - მონაცემები და ფაქტები, რომლებიც ნაშრომის გასაგებადაა საჭირო, ან ავტორის მსჯელობას ამყარებს, შესაძლებელია, დანართში განთავსდეს. მისი საშუალებით მკითხველი იღებს დეტალურ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხზე. დანართის დართვა იმ შემთხვევაშია გონივრული, თუ აღნიშული მონაცემები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათი ძირითად ტექსტში მითითება ტექსტის კითხვას გაართულებდა. ამგვარი მასალები კვლევის დეტალებს წარმოადგენს და მათი მაგალითებია: ანკეტა-კითხვარი ინტერვიუებისთვის, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები, ხელნაწერები და ა.შ. თუ ნაშრომს ერთზე მეტი დანართი აქვს, ისინი უნდა დაინომროს, ხოლო დანართის დამოწმება ხდება ტექსტში ჩართული დამოწმების ფორმატით.

მუხლი 15. კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და ანონიმურობის პრინციპის დაცვა

15.1. სამაგისტრო ნაშრომის ავტორი პასუხისმგებელია დაიცვას ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპი კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

15.2. კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის პრინციპის დაცვის მიზნით სამაგისტრო ნაშრომის ავტორი უზრუნველყოფს ინფორმირებული თანხმობის წერილის მომზადებას (დანართი 1);

15.3. ინფორმირებული თანხმობის წერილი აღწერს საკვლევ პრობლემასა და კვლევის მიზანს და განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ავტორის პასუხისმგებლობას კვლევის მონაწილე რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით და ასევე, ადასტურებს კვლევის მონაწილე რესპონდენტის თანხმობას მის მიერ გაცემული ინფორმაციის კვლევის მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით;

15.4. სამაგისტრო ნაშრომის ავტორი კონკრეტული კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის მხოლოდ კონკრეტული კვლევის მიზნებისთვის გამოყენებას, ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას ადასტურებს ინფორმირებულ თანხმობაზე ხელის მოწერით;

15.5. რესპონდენტი კონკრეტული კვლევის ფარგლებში გაცემული ინფორმაციის ამავე კვლევის მიზნებისთვის გამოყენებაზე თანხმობას ადასტურებს ინფორმირებულ თანხმობაზე ხელის მოწერით.

მუხლი 16. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

16.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

16.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

16.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

16.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

დანართი 1

ინფორმირებული თანხმობა

თარიღი: __ _____

კვლევის მოკლე აღწერა

საკვლევი პრობლემა:

კვლევის მიზანი:

კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება მხოლოდ წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის, არ გადაეცემა სხვა მხარეს და დაცული იქნება ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპი.

მკვლევარის ხელმოწერა:

რესპონდენტი თანახმაა, კვლევის ფარგლებში გაცემული ინფორმაცია გამოყენებულ იქნას წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის.

რესპონდენტის ხელმოწერა: